სსკგ-ს თავმჯდომარემ ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტ იოანიკეს კათედრაზე დადგინება მიულოცა

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტის იოანიკეს აღსაყდრებასთან დაკავშირებით მისალოცი წერილი გაუგზავნა. წერილში ნათქვამია:

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ,

ძვირფასო მეუფევ!

გულითადად გილოცავთ ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტების კათედრაზე აღსაყდრებას ცეტინეს მართლმადიდებელ მონასტერში.

იყავით რა მრავალი წლის განმავლობაში ამ უძველესი სავანის წინამძღვარი, თქვენ ააღორძნეთ ცეტინეს სასულიერო სემინარია და მრავალ ადამიანს დაეხმარეთ დაბრუნებოდა წინაპართა წმინდა სარწმუნოებას. ოცდაორი წლის წინ ცეტინეს მონასტრის კედლებში თქვენ მიიღეთ მწყემსმთავრობის მადლი მაღალიერარქთა კრებულის ხელიდან სერბეთის მარადსახსენებელი უწმინდესი პატრიარქის პავლეს მეთაურობით.

დღეს კი მონასტრის ტაძრის თაღებქვეშ, წმინდა დიდებული წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და უფლის ნათლისმცემელი იოანეს მარჯვენის ლუსკუმასთან, თქვენ ადიხართ ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტების კათედრაზე, რათა გააგრძელოთ კვალი რიგი წმინდა პეტრე ცეტინელის მემკვიდრეებისა, რომელსაც გასულ საუკუნეში მხარი დაუმშვენეს პატრიარქმა გაბრიელ სერბმა და მღვდელმონამე იოანიკემ, რწმენის აღმსარებლებმა არსენიმ და დანიელმა, ასევე ჩერნიგორიაში ღვთის ერის უშიშარმა სულიერმა წინამძღვარმა მარადსახსენებელმა მიტროპოლიტმა ამფილოქემ.

დაე ყოვლადწმიდა დედოფალი ღვთისმშობელი, წმინდა იოანე ნათლისმცემელი, წმინდა პეტრე ცეტინელი და ბასილი ოსტრაგოელი იცავდნენ თქვენს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას კეთილ ჯანმრთელობაში და გარიგებდნენ თქვენ ახალ მაღალ მსახურებაში; დაე მათი დაუძინებელი მეოხებით აღგავსოთ უფალმა „ყოვლითა სიხარულითა და მშვდობითა სარწმუნოებად“ (რომ. 15:13), გარდამოგივლინოთ თავისი მოუკლებელი შეწევნა თქვენს სამოღვაწეო შრომაში თქვენი ღვთისმოსავი სამწყსოს სასიკეთოდ და სანუგეშოდ, და წმინდა საბას მთელს ეკლესიას მრავალჟამიერ.

უფლისმიერი ძმური სიყვარულით ,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს

საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე

ვოლოკოლასმკის მიტროპოლიტი ილარიონი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87965/